თავდაცვის მინისტრი

გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. N20
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 254 35 35
mod@mod.gov.ge

16 ოქტომბერი 2023

MOD 2 23 01224167

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2023 წლის 3 ოქტომბრის №7397/3-2/23 (რეგისტრაციის №1165314) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ტოტალური თავდაცვის მიდგომის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის ძალების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მემორანდუმის ფარგლებში, 2021 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ორ, ხოლო 2023 წლიდან კიდევ ხუთ, სხვადასხვა მიმართულების მქონე მოხალისეობრივ ორგანიზაციასთან. აღნიშნული ორგანიზაციებია:

- ა(ა)იპ „გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონი“ - ახორციელებს თავდაცვის ძალების მხარდაჭერას სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა). თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ატარებს საბაზისო სამხედრო - სალაშქრო კურსებს;
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ,,აისი“ - ახორციელებს კრიზისისა და საომარი მოქმედებების დროს თავდაცვის ძალების მხარდაჭერას. თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ატარებს საბაზისო სამხედრო - სალაშქრო კურსებს;
- ა(ა)იპ „ვემსახურები საქართველოს“ - ახორციელებს საინფორმაციო და იურიდიულ მხარდაჭერას. თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია აღნიშნული ორგანიზაციის წევრებთან ატარებს სამხედრო საინფორმაციო მხარდაჭერის ტრენინგებს;
- ა(ა)იპ „საქართველოს პრეციზიული სროლის ფედერაცია“ - ახორციელებს მხარდაჭერას ადამიანური რესურსით. ორგანიზაცია, თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მოხალისეებთან ატარებს ახლო და შორ მანძილზე სროლებს კუთვნილი იარაღებით;
- ა(ა)იპ „შილდ 2022“ - ახორციელებს კრიზისული სიტუაციების დროს მოწყვლადი ჯგუფების გადაყვანას უსაფრთხო ადგილებსა და თავშესაფრებში. აღნიშნულ ორგანიზაციას, ხელმისაწვდომობის ფარგლებში, შესწავლილი აქვს საქართველოს მასშტაბით არსებული თავშესაფრები;
- ა(ა)იპ „ქალთა ეროვნული ლიგა“ - ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირება/მომზადებას და კრიზისულ სიტუაციებში უსაფრთხო ადგილებზე გადაყვანის ხელშეწყობას;
- ა(ა)იპ „ექსტრემალური მედიცინის ცენტრი“ - ახორცი[illegible] მხარდაჭერას და მოსახლეობის მომზადებას პირველადი დახმარ[illegible]

შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, თავდაცვის კოდექსი ითვალისწინებს სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას, რომელიც

განახორციელებს მოხალისეთა ორგანიზაციის/მოხალისეთა ორგანიზაციის კანდიდატის სტატუსის მქონე სუბიექტის მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების კოორდინაციასა და კონტროლს.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე